25, 126, 127
F550 № 7452
ეროვნული ბიბლიოთეკა

...ლო დიდის ქუჩი, არ გაიცვლების სხვაზედა...“

# ოდიში

შაბათი 2 ნოემბერი
№ 121 (11114)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ზოგიერთი კატეგორიის არასრულწლოვან მსჯავრდადებულთათვის სასჯელის შემსუბუქებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლების შესახებ

ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი კატეგორიის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნა მიზანშეუწონელია და რომ რესპუბლიკაში შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულების არარსებობის გამო ამჟამად ირღვევა კანონის მოთხოვნები არასრულწლოვანთა მიერ სასჯელის მოხდის პირობების შესახებ.

ვადგენ:

1. გათავისუფლდნენ, თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელისაგან, აგრეთვე ისეთი სასჯელისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულნი, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებია 18 წელი.

2. შეწყდეს ყველა საგამოძიებო საქმის წარმოება და სასამართლოებში განუხილველი საქმეები დანაშაულთა გამო, რომლებიც ამ ბრძანებულების ძალაში, შესვლამდე ჩაიდინეს იმ პირებმა, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებიათ 18 წელი.

3. სასჯელისგან არ თავისუფლდებიან არასრულწლოვნები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვთ სამ წელზე მეტი ვადით შემდეგი მძიმე დანაშაულისთვის:

ა) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენისათვის (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-73 მუხლები);

ბ) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შემდეგი სხვა დანაშაულის ჩადენისათვის: ბანდიტიზმი (მუხლი 78-ე), მასობრივი არეულობა (მუხლი მე-80);

გ) პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 104-ე), განზრახ მკვლელობა (მუხლი 105-ე), სხეულის [illegible]რახ მძიმე დაზიანება (მუხლი 110-ე), გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებაში (117-ე მუხლი მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები), ყაჩაღობა (96-ე და 152-ე მუხლები), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმეულის სიცოცხლის ხელყოფა (209 მუხლი);

დ) საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულისთვის: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება (240-ე მუხლი), ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება (252-ე მუხლი, 252 (1) მუხლი, 252 (3) მუხლი);

ე) რომლებსაც ადრე მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ამ ბრძანებულების მე-3 მუხლის „ა“ — „დ“ პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულისათვის.

4. გაუნახევრდეთ სასჯელის მოუხდელი ნაწილი იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც ამ ბრძანებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებიათ 18 წელი.

5. ბრძანებულების შესრულება დაევალოთ: საგამოძიებო საქმეებზე — წინასწარი გამოძიების ორგანოებს; სასამართლოებში განუხილველ საქმეებზე, მათ შორის იმ საქმეებზე, რომლებიც განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა, აგრეთვე იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე და 47 (1) მუხლების შესაბამისად სასჯელი შეეცვალათ პირობითი მსჯავრდებით ან განაჩენის აღსრულება გადაედოთ, — სასამართლოებს; მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან, — შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს.

6. ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი 1991 წლის 26 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

30 ოქტომბერს მუშაობა დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მორიგმა სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, მინისტრთა კაბინეტის წევრები.

სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდნენ, დეპუტატები დიდხანს და ფრიად მწვავედ განიხილავდნენ სიტუაციას, რომელსაც წააწყდა ბევრი მათგანი, სანამ სხდომათა დარბაზში მოხვდებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ დილიდანვე მთავრობის სახლის შენობის შესასვლელს პიკეტირებდა მოქალაქეთა ჯგუფი, რომელთა შორის განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ ქალები და ხელს უშლიდნენ უზენაესი საბჭოს ზოგიერთ წევრს მისულიყვნენ თავის სამუშაო ადგილამდე.

აგზნებულ მოქალაქეთა ასეთ საქციელს ბუნებრივია, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია კანონმდებელთა აღშფოთება, მით უმეტეს, რომ ცალკეული დეპუტატების მიმართ მოპიკეტეებმა ძალაც კი გამოიყენეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამის გამო გამოსვლებში ზოგიერთმა დეპუტატმა სცადა ქალების ესოდენ აგრესიული საქციელის მიზეზი იმით აეხსნა, რომ გამთენიისას მოხდა თავდასხმა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შენობაში მყოფ გვარდიელებზე.

დეპუტატებმა ერთმნიშვნელოვნად დაგმეს ყოველგვარი ძალმომრეობა, რომელიც იწვევს რესპუბლიკაში ისედაც რთული სიტუაციის დესტაბილიზაციას. გამოითქვა მოთხოვნა მოაშორონ მოპიკეტეები მთავრობის სახლის შენობას და შესაძლებლობა მისცენ ქუჩაში დარჩენილ დეპუტატებს შემოვიდნენ სესიის სხდომაზე.

მხოლოდ ერთი საათის შემდეგ, რომელიც დასჭირდა მომხდარი ინციდენტის გამო დავასა და აზრთა გაზიარებას, დეპუტატები შეუდგნენ მუშაობას. დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად პარლამენტარებმა განიხილეს და მიიღეს კანონები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის შესახებ. ცვლილებანი და დამატებანი იყო შეტანილი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამნისტიის შესახებ, რომელიც ეხება ზოგიერთი კატეგორიის არასრულწლოვან პატიმრებს, დადგენილება ამ კანონის გამოყენების წესის შესახებ. მიღებულია საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეთავაზებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ 1991 წლის 11 ოქტომბრის კანონის თაობაზე. ცვლილებანია შეტანილი რესპუბლიკის სისხლისსამართლებრივ საპროცესო კოდექსშიც.

კანონმდებელთა პრინციპული მსჯელობის საგანი იყო ყოფილი სსრ კავშირის სუვერენულ სახელმწიფოებს — რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებისადმი დამოკიდებულებაში საქართველოს პოზიციის საკითხი. ამ საკითხზე გამოსულმა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა გააანალიზა ამ ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი, მისცა მას მთლიანად შესაბამისი შეფასება. უნდა ითქვას, ამ უარყოფით შეფასებაში პარლამენტის უმრავლესობისა და ოპოზიციის აზრი ერთმანეთს დაემთხვა.

სხდომა გვიან საღამომდე გაგრძელდა.

საქინფორმი.

ზუგდიდის რაიონის საკრებულოს დეპუტატთა საყურადღებოდ! მიმდინარე წლის ექვს ნოემბერს 12 საათზე მოწვეულია ზუგდიდის რაიონის პირველი მოწვევის პირველი სესიის მეორე სხდომა.

დეპუტატთა დასწრება სავალდებულოა.

სხდომის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. სარევიზიო კომისიის არჩევა;
2. დროებითი კომისიების შექმნა და ფორმირება (საჭიროების მიხედვით);
3. საკრებულოს დროებითი რეგლამენტის მიღება;
4. დეპუტატთა მიერ დასმული საკითხების განხილვა;

სესია ჩატარდება კოსტავას ქუჩა № 58-ში (ყოფილი რაიონული ალმაჰკომის შენობის ხაჭკტო დარბაზში).

რაიონული საკრებულოს მდივანი

ბ. წულაია.

ძვირფასო მკითხველებო!

გამოიწერეთ

გაზეთი „ოდიში“

მისი წლიური ღირებულებაა

15 მანეთი და 60 კაპიკი.

რედაქციის კოლეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველის რეაქცია

## უმადურობა რა საკადრისია

ნათქვამია, საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მას ავზნეობის ჟამს, ღმერთი მოუვლენდა მხსნელს, ღალატისაგან გადამრჩენელს. ასეთ პიროვნებებს ქართველი ერი გმირებად აღიარებდა.

კომუნისტების 70-წლიანი ბატონობის პერიოდში, როცა სტალინის პოლიტიკის გამგრძელებლებმა ტოტალიტარული რეჟიმი მთელი თავისი სისასტიკითა და უსამართლობით წარმოაჩინეს, სხვა რესპუბლიკებთან ერთად დიდად იზარალა პატარა საქართველომაც. ამის მოწმენი ყველანი ვართ დღეს, როცა საბჭოური იმპერია დაშლის კარამდეა მისული და თითოეული ერი, თუ ეროვნება უნიტარული სახელმწიფოს მარწუხებისაგან თავდახსნის გზებს ეძიებს.

ქართველი ხალხი ამჟამად თავისუფლებისათვის იბრძვის. და მისი ეს მცდელობა აწყდება საშინელ წინააღმდეგობებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ეკონომიკაში. ჭირს სურსათი, საცხოვრებელი ბინები და ა. შ. ასეთ დროს ყოველი ღვთისნიერი, ქველმოქმედი ადამიანის გამოჩენა ჰორიზონტზე დიდაც რომ გმირობის ტოლფასია და მათ დანახვა და დაფასება უნდა. უმადურობას ბევრი ტკივილი და უბედურება მოუტანია ჩვენი ხალხისთვის. მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვივიწყებთ ხოლმე.

ერთერთ ასეთ ქველმოქმედ პიროვნებად მესახება ლენინგრადში მოღვაწე ბიზნესმენი, ბატონი კონსტანტინე ფიფია, რომელსაც არაერთი კეთილი საქმე ჩაადენინა თავისი სამშობლოს სიყვარულმა, იმ მძიმე, უნუგეშო მდგომარეობამ, რომელშიაც აღმოჩნდით ყველანი. თავად მკითხველმა განსაჯოს, თუ რა ამოძრავებდა მას, როცა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში რიცხავდა 100 ათას მანეთს, ამავე რაოდენობის თანხას უგზავნიდა თბილისის 184-ე სკოლის ანსამბლ „ცეროდენას", 2 მილიონი მანეთით განამტკიცებდა საქართველოს ეკლესიის ფონდს. მამულის გასაჭირის გულთან მიმტანი კაცის ხასიათი იკვეთება მაშინაც, როცა მიწისძვრისგან შეწუხებული ადამიანების დასახმარებლად იგზავნება 100 ცალი კარავი, 500 ათასი მანეთის ღირებულების მედიკამენტები, 285 ათასი მანეთის ღირებულების სათესლე კარტოფილი, მილიონ 900 ათასი მანეთის ბავშვთა იმპორტული ტანისამოსი საჩხერის, ჭიათურის, ონის და ამბროლაურის რაიონებისათვის და ა. შ. ქველმოქმედების ყველა ფაქტს ვეღარ ჩამოთვლი.

და რაოდენ გულსატკენი და გასაკვირია, რომ ამდაგვარ უანგარო დახმარებას ეჭვის თვალით შეჰღლავს მავანი. ყოვლად აუხსნელია ჩვენთვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 18 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი ბატონ ი. ჩხეიძის წერილი, სადაც იგი აკრიტიკებს მთავრობის ყოფილ ხელმძღვანელობას იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა უფლება მას, ვინმე გაურკვეველი პიროვნების, ლენინგრადელი კონსტანტინე ფიფიასთვის, თითქმის უცნობისთვის, საქართველოში არმცხოვრებისათვის მიეცა ამდენი უფლებები? ასეთ მსჯელობაში ჩვენ ვერ ვნახეთ ვერავითარი ლოგიკა. ნუთუ ასე უმოწყალოდ, ანგარიშმიუცემლად უნდა ვასხამდეთ ცივ წყალს გულმხურვალე პატრიოტის უანგარო საქციელს? ეცნობი ამ კორესპონდენციას და გიჩნდება სურვილი შეეკითხო საქართველოს მატერიალური რესურსების მინისტრს: რამდენად იცნობს იგი მორისს, სტიუარტს, ლაფლინს, პიუს, რეიერსონს და სხვებს? ნუთუ არც იმისათვის მიუგდია ყური, რომ ამერიკის საქმიანი წრეების ეს წარმომადგენლები დაინტერესებას იჩენენ საქართველოს მიმართ?

სწორედ დასანანია, რომ კორესპონდენციის ავტორმა ჭეშმარიტ ქრისტიანსა და ქველმოქმედ ქართველს დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენა.

ნუ ვატკენთ გულს კ. ფიფიასთანა ადამიანებს, ვინაიდან სწორედ მისნაირი, ღმერთთან ახლოს მდგომი შვილების დახმარება ჰაერივით სჭირდება გაჭირვებაში ჩავარდნილ საქართველოს.

**ს. კვარაცხელია,**
სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ინვალიდთა ასოციაციის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

ვიხილავთ კანონპროექტს

## მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფისათვის

გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი „მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ". იგი განსაზღვრავს მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდის ხარჯზე. კანონი ადგენს საპენსიო უზრუნველყოფის ერთიან პირობებსა და ნორმებს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის. კანონპროექტი გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 23 ოქტომბრის ნომერში.

კანონპროექტი მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ შეიცავს 109 მუხლს, რომლებშიც განმარტებულია მოსახლეობის სხვადასხვა ფენის როგორც შრომითი, ასევე სოციალური პენსიების დანიშვნის პირობები.

გათვალისწინებულია გარკვეული შეღავათები თეატრებისა და სხვა თეატრალურ-სანახაობითი საწარმოებისა და კოლექტივების ზოგიერთი კატეგორიის მსახიობების ნამსახურობისათვის, აგრეთვე სამოქალაქო ავიაციისა და გამომცდელ მფრინავთა შემადგენლობის [illegible] კატეგორიათა მუშაკებისათვის და სხვა.

პროექტში მე-13 მუხლად აღნიშნულია პენსიების დანიშვნის წესი მრავალშვილიან და ბავშვობიდან ინვალიდების დედებისათვის.

საგულისხმოა 83-ე მუხლი, სადაც ნათქვამია სოციალური პენსიის დანიშვნის წესებზე. ამ მუხლის თანახმად სოციალური პენსიები ენიშნებათ და ეძლევათ იმ არამომუშავე მოქალაქეებს (ბავშვობიდან ინვალიდების გარდა), რომელთაც არა აქვთ შრომის პენსიის უფლება:

ინვალიდებს მიზეზობრივი კავშირის მიუხედავად;

პირებს, რომლებსაც შეუსრულდათ: ქალებს — 60 წელი, მამაკაცებს — 65 წელი;

ბავშვებს — მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში;

ინვალიდ ბავშვებს 16 წლის ასაკამდე.

წინამდებარე კანონპროექტში განმარტებულია აგრეთვე პენსიების დანიშვნის შესახებ მიმართვისა და დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხები.

ვითვალისწინებთ რა საერთო ინტერესს აღნიშნული დოკუმენტისადმი, გთხოვთ, როგორც სპეციალისტებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს, გამოგვეხმაუროთ, მოგვაწოდოთ თქვენი აზრები და წინადადებები აღნიშნულ საკითხებზე.

აღზრდის თემაზე

## „ათი მცნება"—მოსწავლეთა ზნეობრივ სრულყოფაში

საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების შესწავლას თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ქართული აგიოგრაფიული დამწერლობა ქრისტიანული სარწმუნოების (მოძღვრების) გავრცელებაზე და დამკვიდრებაზე მოგვითხრობს. ქართული ლიტერატურის მდიდარი მასალა დღეს შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული მოზარდთა და ბავშვთა სულიერ აღზრდაში, ყოველგვარ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოზარდებთან და ბავშვებთან აღმზრდელობითი მუშაობის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ზნეობრივ აღზრდას, რომელსაც საფუძვლად უდევს რელიგიური აღზრდა, კერძოდ, „ქრისტეს ათი მცნება". ტრადიციულისაგან განსხვავებით, კლასის ხელმძღვანელს სამუშაო გეგმაში შეაქვს საუბრები ქრისტიანული მოძღვრების შესახებ, ქრისტეს შობაზე ბეთლემში იოსებისა და ყოვლადწმინდა მარიამისაგან, საიდანაც დაიწყო კაცთა შორის მშვიდობისა და სათნოების ქადაგება: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". საჭიროა საუბრის დროს ყურადღება გამახვილდეს საღმრთო წერილზე, სადაც განმარტებულია: „უკეთუ გსურს შეიცნო ღმერთი, უპირატესად იცან თავი შენი, შეისწავლე შენი ბუნება, ეცადე ჩასწვდე შენს შინაგან სამყაროს, ჩაიხედე შენს სულში და როგორც სარკეში, შენს სულიერ და ფიზიკურ არსებაში დაინახავ ღმერთს, რომლის სახედ და მსგავსად შექმნილი ხარ შენ. შენი სული უხილავი, სულიერი, უკვდავი და ისეთივე მიუწვდომელია, როგორც თვით ღმერთი". ქრისტეს მცნების ათი მუხლი ქადაგებს ჭეშმარიტი, ნამდვილი ქართველი ადამიანის ზნეობრივ თვისებებს. აი, ზოგიერთი მათგანი: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა". „არა კაც ჰკლა", „არა იმრუშო", „არა იპარო", „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა" და ა. შ.

სასურველია „ათი მცნების" მუხლები ზეპირად შეასწავლოთ ბავშვებს ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში, ხოლო შემდეგ მათზე მუშაობა გაგრძელდეს საშუალო სკოლის უფროს კლასებში.

ამრიგად, ბავშვთა და მოზარდთა ზნეობრივ აღზრდას საფუძვლად უნდა დაედოს ქრისტიანული მოძღვრების შესწავლა, რადგან როგორც ცნობილია, იგი ყოველგვარი ცოდნისა და აღზრდის საფუძვლად არის აღიარებული დღეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

**ალექსანდრე ლურწკაია.**

## „ერგეს" კულტი ეგრისში

მიმდინარე საუკუნის ბოლო ათეულ წლებში ეგურის აუზში არქეოლოგიური და ფოლკლორული ექსპედიციების მიერ გამოვლენილი მასალები საუკეთესო საშუალებაა ქართველური ტომების ისტორიული წარსულის შესასწავლად. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს სარიტუალო ნივთიერი მასალები და მასთან დაკავშირებული ლოცვის რიტუალებიც, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ბუნების გარემოში საგნებისა და მოვლენების გაღმერთების რეალურ წარმოშობაზე, რასაც იმსახურებდა თვით ბუნებრივი გარემო ადამიანთა მზამზარეული, ტკბილი და უხვი დოვლათით დაჯილდოებისათვის. რის საფუძველზედაც (ჩვენი გაგებით) წარმოიქმნენ ფუტკრის ღვთაება-აგუნა (მეგრ. ჭგირაგუნა), საქონლისა (მირსა) ჯეგემსაროni, წყალღვთაებ — ერგე და სხვა.

ამასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ცდაა ჩვენს მიერ გამოცემულ წიგნში (1) ქვეთემა — „წყალ-ღვთაებისა და ხე-ღვთაების კულტი ეგრისში". აქ მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო, აღნიშნული წიგნის რედაქტორის (რედ. ი. მეგრელიძე) შენიშვნებს, სადაც აღნიშნულია: „წყალღვთაება, ერგე — სახელის მდინარის ენგურ — სახელთან დაკავშირებას ართულებს პირველის რ—ს მაგიერ მეორეში „ნ". [illegible] ეგურში „ნ" ბგერა შეიძლება განვითარებული იყოს გ—ს წინ. (შეადარე აგური კილოური ანგური—ენგური). ერგეში კი „რ" ძირეული ჩანს. ავტორს მაინც ეძლევა საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრებებიც". ამასთან დაკავშირებით ჩვენს მკითხველს მინდა განვუმარტო, რომ მეგრული, ქართულის კილო არაა, როგორც ეს ჩემს წიგნის რედაქტორს მიაჩნია; არამედ მეგრული, როგორც ეს [illegible] ცნობილ ლინგვისტ მეცნიერებს (ი. ჯავახიშვილი, ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ა. ჩიქობავა, აკ. შანიძე) მიაჩნიათ — განეკუთვნება ქართველურ ენათა რიგს, რომელიც თავისი მდიდარი ლექსიკით ახლო დგას ძველ ქართულთან (კ. ს). ამიტომ მიგვაჩნია, რომ მის მიერ შემოთავაზებული ფორმები — ეგური, ანგურა, თანგი, ინწრო, ნწარე და სხვ. პირველადი და ძირეული ფორმებია... ხოლო ენგური, აგური, თარგი, ვიწრო, მწარე და სხვა — მეორადი (უნიფიკაციის შემდეგ საერთო ქართულში ჩამოყალიბებული). მიმაჩნია, რომ ერგეში ძირეული და პირვანდელი ფორმა იქნებოდა ენრგე, მაგრამ აქ თანხმოვნების (ნ. რ. გ) თავმოყრის მიზეზით მოხდა რ-ს წინ მდებარე ნ-ს რედუქცია, რომლის შედეგად შემოგვრჩა ერგე, რაც ენგურისაგან წარმოქმნილ [illegible] სახელად მიმაჩნია და მისი სიმბოლური გამოსახულება უნდა იყოს სოფ. ლიის (პალურის) უბანში ნაპოვნი ორაგულის ბრინჯაოს ქანდაკებები. ასეთი ქანდაკების არსებობაზე უთითებს [illegible] (მეგრ. ჭგირი ერგეს — წმ. ერგეს (უბანში) [illegible]) ამას ადასტურებს აქვე არსებული საგალობელი ჰიმნი წყალ-ღვთაება ერგეზე — „ერგეაშვა". „სწორედ ამ საგალობელს მღეროდა ოქტომბრის 5 ზუგდიდს მიმავალი კაცი ზემბაია თავის ჩერქეზულ ჰაკზე იმედიანად მჯდარი", (კ. გამსახურდია — „მთვარის მოტაცება").

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ „რ-ს" გავლენით მის წინ მდებარე „ნ-ს" რედუქციის მაგალითები აქ დასახელებულის გარდა უამრავი გვაქვს ქართველურ ენებში, რაც არ უნდა გაუკვირდეს ქართველ ენათმეცნიერს და არც ენგურისაგან ერგე ფორმის წარმოქმნა. მითუმეტეს რომ დღემდე მიღებული მცდარი შეხედულება, თითქოს ლეგენდარული ეგროსის სახელისაგან წარმოქმნილი იყოს სახელი დაბისა — ეგრისი და დაბის სახელისაგან მდინარისა — ენგური, საეჭვო არაა, რომ ენობრივი ფორმების მიხედვითაც ენგურისაგან წარმოქმნილი იყო ერგე.

**კ. სამუშია.**

---

1. „ქართული ზეპირსიტყვიერება — მეგრული ნიმუშები", „მეცნიერება", თბილისი, 1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# „ადამიანები თუ ვართ...“

საუკუნეების სიღრმიდან გვესმიანება გამონათქვამი: „ყველა გზა რომში მიდის“, რომელიც გულისხმობს, რომ მრავალი საშუალებებიდან თითოეულს, ცალკე აღებულს, ერთი და იმავე მიზნისაკენ მივყავართ. თუ ამ გამონათქვამს ჩვენი დღევანდელი ყოფიერების შესატყვის ინტერპრეტაციას მივუსადაგებთ, შეიძლება დაახლოებით ასეთი წინადადება მივიღოთ: „ზუგდიდში ყველა გზა ბაზრისკენ მიდის“. ეს აქტუალური წინადადება ერთობ უნივერსალურადაც მოჩანს, რამეთუ შესაძლებელია მასში „ზუგდიდის“ ადგილზე საქართველოს ნებისმიერი ქალაქის სახელი ჩაისვას...

მართლაც, დღეს, ამ საყოველთაო სიდუხჭირისა და კვების პროდუქტების დეფიციტის პირობებში, სწორედ ბაზარი გახლავთ ის ერთადერთი „ოაზისი“, სადაც ჯიბემ თუ გაგვიძლო რა ხორაგეულს, რა ნუგბარსა და ხილეულს არ ვიშოვით!

ხშირად გაიგონებთ: ბაზარი რომ არა, რა გვეშველებოდა, შიმშილი დაიბუდებდა ჩვენს ოჯახებში. სწორი ბრძანებაა, თუმცა მაქებართან ერთად მომდურავიც ბევრი ჰყავს მყიდველ-გამყიდველთა ამ თავისებურ, მღელვარე არენას... ჩვენი ყოველდღიური დაძაბული და პრობლემებით გაჯერებული ცხოვრების რიტმი სწორედ აქ, ბაზარში იგრძნობა ყველაზე ძალუმად: ფუსფუსი, გნიასი, დახლიდან დახლამდე მყიდველთა გაფაციცებული მზერა, შეწუხებული სახეები — ბევრი, გაღიმებული — იშვიათად... სამწუხაროდ, სიძვირის პრობლემა ზოგჯერ მუშტრების უკმაყოფილებას იწვევს და გარკვეულ ექსცესებს უხსნის გზას.

ქალაქში მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ყველით მოვაჭრეებსა და მუშტრებს შორის ერთ ასეთ მძაფრ ექსცესს ადგილი ჰქონდა 20 ოქტომბრის კვირა დღეს.

**სიმართლეა ეს თუ მორიგი ჭორი?**—ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ ვეწვიე ზუგდიდის ბაზრის დირექტორს, ქალაქის საკრებულოს წევრს **ბორის ბულიას**.

—ხმები, თითქოს 20 ოქტომბერს, კვირას, ყველის გასაყიდი უბანი დაარბიეს— ჭორია და გაზვიადებული. ფაქტი ის არის, რომ უკანასკნელ დღეებში კილოგრამი ყველის ფასი 40-45 მანეთამდე ავიდა, რის გამოც უკმაყოფილო და აღელვებულ მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა პრეტენზიითა და ზომების მისაღებად ჩვენ მოგვმართა.

—კონკრეტულად რას მოითხოვდნენ?

—მოითხოვეს, რომ ბაზრის ადმინისტრაცია აქტიურად ჩარეულიყო ფასების რეგულირებაში, არ მიგვეცა ასე ძვირად ყველის გაყიდვის უფლება...

**—მაგრამ ეს ხომ თქვენს უფლებამოსილებას აღემატება?!**

—ასეა. მე განვუმარტე მოქალაქეთა იმ ჯგუფს, რომ ბაზრის ადმინისტრაციის კომპეტენციაში არ შედის საბაზრო ფასების მიმართ რაიმე ამკრძალავი მეთოდების გამოყენება, რომ გლეხს უფლება აქვს თავად დაადოს ფასი საკუთარ საქონელს. საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმი იმთავითვე გამორიცხავს კონტროლსა და დიქტატს. სხვა საქმეა მორალურ-ზნეობრივი ღირებულებანი ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, სინდისი, რომელიც გამყიდველსაც უნდა გააჩნდეს და მყიდველსაც. ადამიანები თუ ვართ ერთმანეთი არ უნდა გავატყავოთ...

**—მე გავესაუბრე ყველით მოვაჭრეებს. თქვენ წარმოიდგინეთ, თავად გამოხატავენ წუხილს იმის გამო, რომ თავიანთ ნაწარმს ასე მამასისხლად ყიდიან. განა ასინიც არ ყიდულობენ ჰიქა ზირებულ წყალს ორმოცდაათ კაპიკად?**

—მეტსაც გეტყვით. ჩვენს პირობებში პირუტყვის ყოლა ძალზე შრომატევადი საქმეა. რძე ისე არ მოდის, ქატო სჭირდება საქონელს... ამბობენ, ახლა კილოგრამი ქატოს ფასმა მანეთნახევარს მიაღწიაო. იმასაც ჩივიან, კვეთის ფასიც ათმაგად გაიზარდაო. ყოველივე ამანაც შეუწყო ხელი რძის პროდუქტების გაძვირებას. პრობლემას სტუმველა თუ უშველის მხოლოდ. ამ მიზნით ჩვენ ვცდილობთ რესპუბლიკის გარეთაც ვეძებოთ წყაროები. ხშირად შემოგვაქვს ყველი, ბოსტნეული, სხვა პროდუქტი და ბაზრის ფასებთან შედარებით შეღავათიანად ვახდენთ მის რეალიზაციას.

**—დიდი და რთული ობიექტია, ალბათ ძნელად სამართავიც. უთუოდ გექნებათ პრობლემები...**

ექვსი თვეა, რაც ბაზრის დირექტორად ვარ. ბევრ მოსაწესრიგებელ საკითხთაგან მხოლოდ ნაწილის გადაწყვეტა მოხერხდა. ახლა გამართულად ფუნქციონირებს კანალიზაცია, ღამის განათება, ყურადღების მაქსიმუმს ვუთმობთ სისუფთავის დაცვას. კვირიდან კვირამდე 5-7 ტონა მაკულატურა გროვდება, რასაც ხელშეკრულების საფუძველზე ენგურქაღალდკომბინატს ვაბარებთ. ჩვენი ბაზარი უდიდესია რესპუბლიკაში, ანუ 24 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს და მისი მოვლა-პატრონობა არ არის ადვილი საქმე. ბაზრის ტერიტორიაზე განლაგებული 1500-მდე დიდი თუ პატარა ობიექტი მრავალ ფიქრთულეს გვიქმნის. სარემონტოა მთავარი გადახურული პავილიონი და სათავსოები, მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სასაწყობო მეურნეობა, გვაკლია საზომ-საწონი ხელსაწყოები, ხშირია წესრიგის დარღვევისა და ჯიბის ქურდობის შემთხვევები...

**—სულ მინდა გკითხოთ: რა უნდა ამდენ ავტომანქანას ისედაც ხალხითა და დახლებით გადატვირთულ შუა ბაზარში? ჩემი აზრით, ამ „ოცდაოთხების“, „მერსედესების“ თუ „ვოლვოების“ მესაკუთრენი ის ხალხია, ვინც, ტექნიკური შესაძლებლობა რომ იყოს, თეატრის პარტერშიც შეაჭირითებდა თავის ავტოს. განა ძნელია ამ უმსგავსობის აღკვეთა?**

—თქვენს შენიშვნას აბსოლუტურად ვეთანხმები. ბაზარში კერძო ავტომანქანების სიმრავლე დაუშვებელია ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. ეს გამოწვეულია ავტოსადგომის გაუქმებით. ფასიანი ავტოსადგომის ადგილზე უამრავი კომერციული მაღაზია, სასადილო თუ სხვა სავაჭრო ობიექტი აღმოცენდა. საყიდლებზე მოსულ მოქალაქეებს ეშინიათ სადმე შორს, უმეთვალყუროდ დატოვონ თავიანთი ძვირადღირებული ავტომანქანა და ზოგიერთი მათგანი ახერხებს ბაზარში შემოსვლას. ამ პრობლემას მხოლოდ ავტოსადგომის მოწყობაღა თუ უშველის.

**—ბაზარს პრივატიზაციასთან თუ აქვს რაიმე შეხების წერტილი?**

ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო სავაჭრო ობიექტები ჩვენ გვიხდის დაკავებული მიწის ფართობის გარკვეულ საფასურს. ეს გადასახადი ძალზე მცირეა და არავითარ შოვებას არ გვაძლევს. აი, პრივატიზაციის შემთხვევაში ჩვენ ვიყიდით ამ სავაჭრო კაპიტალურ ობიექტებს და გამოვიყენებთ ამა თუ იმ საჭიროებისათვის ისე, რომ ხალხსაც წაადგეს და ჩვენს ორგანიზაციასაც.

**—დიდი მადლობა საუბრისათვის.**

ჯ. არქანია.

# ივანოვო—ფრანკოს ფოლკლორული ანსამბლი ზუგდიდში

ამ დღეებში ქალაქ ზუგდიდში სტუმრად იმყოფებოდა დასავლეთ უკრაინის ივანოვო-ფრანკოს ფოლკლორული ანსამბლი 40 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას უძღვებოდა უკრაინის კულტურის სამინისტროსთან არსებული კულტურის ცენტრის მეგობრობის დირექტორი რუსლან ბუბნოვი და ჩვენი თანამემამულე, დავით გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა პრეზიდენტი რაულ ჩილაჩავა.

საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციისა და დაძაბულობის მიუხედავად, განაცხადა ჩვენთან საუბრისას ბატონმა რუსლან ბუბნოვმა,— უკრაინელი სტუმრები მეტად გულთბილად მიგვიღეს. რაღა დაგიმალოთ და ჩვენ საქართველოში წამოსვლისა გვეშინოდა. მაგრამ როცა თქვენი თანამემამულე, უკრაინელთა საყვარელი პოეტი ბატონი რაულ ჩილაჩავა ჩვენთან ერთად თავისი ორი შვილიშვილით წამოვიდა, მაშინ დავრწმუნდით, რომ არაფერი საშიშროება არ მოგველოდა. ცენტრალური ტელევიზიისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წყალობით ჩვენ სულ სხვა წარმოდგენა გვქონდა საქართველოზე და ქართველებზე. თუ დღევანდელ ცენტრალურ რუსულენოვან პრესას თვალს მივადევნებთ და გულდასმით წავიკითხავთ ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნება, რომ თითქოს დღეს საქართველოში ყოველივე არაქართული იდევნება და იჩაგრება. საქართველო წარმოდგენილია როგორც მცირე ერების დამპყრობი ქვეყანა, ქართველთა გარკვეული ნაწილი კი ექსტრემისტული განწყობილებითაა დამუხტული. ყოველივე ამის შემდეგ არც არის გასაკვირი, რომ ყოველ ჩვენგანს ერთგვარი შიშის გრძნობა დაეუფლებოდა, როცა საქართველოში სავასტროლოდ წამოსვლა შემოგვთავაზეს.

რა დიდ სასიხარულოა, როცა ყოველივე ის, რასაც საქართველოს შესახებ ცენტრალური მასობრივი ინფორმაციები ავრცელებენ ჭორი და წინასწარ შორს გამიზნული დეზინფორმაციაა, რათა მსოფლიოს ხალხების თვალში ავტორიტეტი შეულახონ თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს. აქ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით ძმურ მხარდაჭერას და თანადგომას, მეგობრულ სითბოს. მე მჯერა, რომ საქართველო მალე იქნება თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო და ეს ჩვენი კოლექტივის თითოეულ წევრს ნამდვილ სიხარულს და სიამოვნებას მოგვანიჭებს,— თქვა დასასრულ ბატონმა ბუბნოვმა.

სტუმრებმა პირველი კონცერტები ჩაატარეს საქქაღალდმრეწვის საწარმოო გაერთიანების კულტურის სასახლეში. აქ სტუმრებს და მასპინძლებს გულთბილი სიტყვებით მიესალმნენ ქალაქის კულტურის განყოფილების გამგე მაია კალანდია, პოეტი რაულ ჩილაჩავა, უკრაინის კულტურის ცენტრის დირექტორი რუსლან ბუბნოვი და სხვები.

ასევე სტუმრებს უმასპინძლეს და კონცერტები გამართეს კახათის, ახალსოფლისა და კორცხელის კოლმეურნეობებში. უკრაინელმა მეგობრებმა დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, სამეცნიერო ცენტრის ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ისტორიული ციხესიმაგრეები— რუხის ციხე, ჯიხა და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

სტუმრებს მასპინძლობას უწევდა საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობა მისი თავმჯდომარის თამაზ მოსიას ხელმძღვანელობით. ანსამბლი „ჩელა“ საახალწლოდ მიწვეულია უკრაინაში. ვუსურვოთ მათ წარმატებები.

ნ. ჯაბუშია.

სპორტი

# მასზე იმედებს ვამყარებთ...

შვიდი წლის იყო პატარა სოფიკო, მამამ რომ ჭადრაკის თამაში ასწავლა. პტარამ იმთავითვე აუღო ალღო სპორტის ამ რთულ, მაგრამ საინტერესო სახეობას. ამჟამად სოფიკო ნაყოფია მე-6 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა, საჭადრაკო მეცადინეობის 4-5 წლის სტაჟი აქვს, ჭადრაკის კლუბში გადის წვრთნას (მწვრთნელები—გ. თორია, ნ. შოგირაძე), ფრიადოსანია.

12 წლისამ უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები ჩაიწერა საჭადრაკო ბიოგრაფიაში. „შემტევი კომბინაციური სტილის მოჭადრაკეა, გამოირჩევა ორიგინალური თამაშით. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ— ამბობს მწვრთნელი გ. თორია, ზუგდიდი საჭადრაკო სპორტის მხრივ ტრადიციული ქალაქია, ვფიქრობთ იგი ნონა გაფრინდაშვილის სახელოვანი გზის ერთ-ერთი საიმედო გამგრძელებელი იქნება“.

სოფიკოს პირველი ტურნირი ახალციხეში შედგა, სადაც ზუგდიდის ნაკრებ გუნდთან ერთად გამოდიოდა, მან თავის დაფაზე პირველი ადგილი დაიკავა, ზედიზედ 8 პარტია მოიგო და გამარჯვება იზეიმა.

აგვისტოს თვეში კი ბულგარეთის ქალაქ ტეტევენში გაიმართა მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი, სადაც მან 9 შესაძლებლობიდან ხუთნახევარი ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

სოფიკოს მაშინ ვესაუბრეთ, როცა ქალთა და მამაკაცთა წყალტუბოს რესპუბლიკური ოლიმპიადისთვის ემზადებოდა. იქ სოფიკო რეგიონის სახელით გამოდის და გვჯერა გვასახელებს,— აღნიშნა მწვრთნელმა გოჩა თორიამ.

სამწუხაროა, რომ სოფიკოს ამ წარმატებებს ველარ ესწრება მისი მამა, რომელიც შეჰხაროდა შვილის მომავალს და ტრაგიკულმა ბედმა საყვარელ ოჯახს მოსწყვიტა.

სოფიკო ღირსეულად მიჰყვება მამის მიერ დალოცვილ გზას და იმედია მამის ოცნებასაც ფრთებს შეასხამს: —გახდება სახელოვანი მოჭადრაკე.

მ. ტიმაძე.

# „ქალთა გაზეთი“

ძვირფასო მკითხველებო!

გამოიწერეთ „ქალთა გაზეთი“. იგი გამოდის თვეში ერთხელ თექვსმეტ გვერდზე და ღირს ერთი მანეთი. წლიური ხელმოწერის ფასია 12 მანეთი.

წინასწარ გიხდით მადლობა! თანადგომისათვის. ვეცდებით ჩვენი გაზეთი იყოს დამხმარე და ქომაგი ქართველი ქალისა.

„ქალთა გაზეთის“ რედაქცია.

წერილი „ოდიშს“!

# პასუხი „მცირე განმარტების“ ავტორს

ბატონო თამაზ, ზუგდიდის მწვანეები მიესალმებიან ქალაქში ახალი ბაზრის გახსნას, რომელიც, ალბათ, ზუგდიდელების მატერიალურად მომსახურების დონეს გააუმჯობესებს. სწორი ბრძანდებით, როდესაც ამბობთ ზუგდიდის მწვანეებმა „კრიტიკული კალამი გაჰკრეს მდინარე ჩხოუშიას მარჯვენა სანაპიროზე ბაზრობის გახსნასო“.

ქალაქის ცენტრში, რომელიც ისედაც გადატვირთულია, ახალი მსგავსი ორგანიზაციის შექმნა დაუშვებლად მიგვაჩნია.

თქვენი არ ვიცი და ჩვენ კი, გვაწუხებს ქალაქის გარეგნული იერ-სახე.

ახლა კი, გიპასუხებთ თქვენს განცხადებაზე, რომელიც რატომღაც სამ პუნქტად დაგიყვიათ. პირველ პუნქტში, სადაც გვამცნობთ, რომ „ბაზარი არსაიდან არ არის გადმოტანილი“, დაშვებული უზუსტობის გამო გიხდით ბოდიშს. მაგრამ მით უარესი, როგორც ჩვენმა თავმჯდომარემ ბ. გუნავამ მოგვაწოდა ინფორმაცია პრეფექტურისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მიზანშეწონილად არ თვლიდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე ბაზრის გახსნას.

რაც შეეხება მეორე პუნქტს, მადლობას მოგახსენებთ იმ ინფორმაციისათვის, რომ ბუნების დაცვას „ნება დაურთავს ბაზრობის გახსნაზე“. მესამე. რატომ გონია ინფორმაციის ავტორს, რომ ბაზრობა ეკოლოგიურად არასახარბიელო კერაა. უნდა გაერკვეთ ეკოლოგიის ცნებაში, რის შედეგადაც დარწმუნდებით მწვანეთა მოძრაობის პოზიციაში.

ახლა კი, კოოპერატივ „გარანტის“ საყურადღებოდ, ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ქალაქის ცენტრიდან ბაზრობის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას გადატანას, რაშიც ხელს ჩვენც შევუწყობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მივმართოთ პროტესტის მშვიდობიან ფორმებს.

ქ. ზუგდიდის მწვანეთა მოძრაობის პრეს-ცენტრი.

რედაქტორი

ბ. მანტურია.

## ბორის ფიფიას ხსოვნას

ახლა, ამ მძიმე წუთებში, შენი კოლექტივის წევრები საოცარი მადლიერნი ვართ იმ წლებისა, რომლებიც განგებამ ერთმანეთის გვერდით მუშაობისათვის გაგვიმწესა.

დაუღალავი გარჯა იცოდი, კოლეგისთვის, მეგობრისთვის შესაშური თანადგომა გჩვეოდა. უშურველად გასცემდი ფიზიკურ და სულიერ ენერგიას საწარმოს კეთილდღეობისათვის. თბილი და ღიმილიანი მოპყრობა, სხვათა სალხენისა, თუ სატკივარის გათავისება შენი ცხოვრების წესი იყო. ყველას გვაღონებდა შენი ჯანის სისუსტე, რომელიც საუბედუროდ განუკურნებელ სენად იქცა.

სათაყვანებელ ოჯახთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად შენი ამ ქვეყნიდან წასვლა ჩვენთვისაც მოუშუშებელ სულიერ ტკივილად დარჩება, დაუვიწყარო ბორის.

ცეკავშირის ზუგდიდის საჭარმოო კომბინატის კოლექტივი.

## მილოცვები, სურვილები

კეთილ ქალბატონს, პედაგოგ ციალა მოლაშხიას ვულოცავ დაბადების დღეს. ბედნიერებას და სიხარულს ვუსურვებ.

ღმერთმა მოგიზღოთ ციალა იმ სიკეთისა და სითბოსათვის, რომელსაც ასე თავდაუზოგავად გასცემთ.

მანანა ზიგვავა.

## ჟურნალ - გაზეთების ხელმომწერთა საყურადღებოდ!

შეგახსენებთ, ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1992 წლისათვის დასასრულს უახლოვდება, ცენტრალური გამოცემების უკანასკნელი ვადაა 2 ნოემბრამდე, რესპუბლიკურის 1 დეკემბრამდე.

ვისაც ზუგდიდის „სოიუზპეჩატის“ მეშვეობით შეძენილი აქვს აბონემენტები წიგნზე „მე იოსებ სტალინი“ გთხოვთ გაიტანოთ №1 წიგნი 1 ნოემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიყიდება კიოსკებში.

ზუგდიდის „სოიუზპეჩატის“ სააგენტო.

## იჩქარეთ გახდეთ მონაწილე!

**იქმნება ზუგდიდის კომერციული ბანკი „ენგური“**

მისი დამფუძნებლებია: კონსორციუმი „კოლხა“, ზუგდიდის ექსპერიმენტალური ჩაის კომბინატი, ფინეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო „პამ-ნინო“, ზუგდიდის სამშენებლო ასოციაცია „პარტნიორი“, მცირე საწარმოები „ნინო“ და „ხვიჩა“.

ბანკის საწესდებო ფონდი შეადგენს 5 მილიონ მანეთს.

ორგანიზაციებს, საწარმოებს, კოოპერატივებს, რომლებსაც სურვილი აქვთ გახდნენ ზუგდიდის კომერციული ბანკის მეპაიე, შეუძლიათ ის განახორციელონ მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლომდე.

მეპაიეები, გარდა იმისა, რომ ბანკის სრულუფლებიანი წევრები იქნებიან, დაბანდებულ თანხებზე მიიღებენ გაზრდილ პროცენტებს, მათ უპირატესობა მიენიჭებათ უცხოური ვალუტის შეძენა-გადახურდავებაში. კომერციული ბანკი მრავალმხრივ მომსახურებას გაუწევს მცირე საწარმოებს, კოოპერატივებს, ორგანიზაციებს, ის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტიმულატორი იქნება.

კომერციული ბანკის შექმნა ზუგდიდის მოსახლეობას ხელს შეუწყობს დროულად სესხების მიღებაში, პირადი დანაზოგების საიმედოდ დაბანდებაში და მათგან მაღალი პროცენტების მიღებაში.

ბანკი უცხოური ვალუტის შესყიდვა-რეალიზაციასაც განახორციელებს. ამ მხრივ არსებული „შავი ბაზარი“ საჭირო არ იქნება.

კომერციული ბანკი „ენგურის“ მეპაიეთა კრება 1991 წლის 1 დეკემბერს გაიმართება.

კომერციული ბანკი „ენგურის“ საორგანიზაციო კომიტეტი.

მისამართი: ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. №58, ტელ: 2-17-05.

**ელექტროენერგიის მომჭირნეობით და რაციონალურად გამოყენების მიზნით საქენერგოს ზუგდიდის ელქსელი ატარებს რეიდებს**

ყოველი კილოვატსაათი ელექტროენერგიის მკაცრი კონტროლისათვის როგორც საყოფაცხოვრებო (მოსახლეობა) აგრეთვე განზოგადებულ სექტორში და კოოპერატივებში ელექტროენერგიის უყაირათო, უნებართვო, ულიმიტო, არარაციონალური გამოყენების ყოველი შემთხვევა გახდება განსაკუთრებული მსჯელობის საგანი.

ყველა მოქალაქეს და საწარმოს ხელმძღვანელს მოვუწოდებთ დროულად გადაიხადონ გახარჯული ელექტროენერგიის საფასური. დაზოგონ ელექტროენერგია და არ დაუშვან მისი არარაციონალური გამოყენების არც ერთი შემთხვევა.

ზუგდიდის ელქსელი.

---

მეუღლე ვიოლა, შვილები მამუკა, ნანა, ბიძა მიშა ფიფია, დეიდა შოთა გაბედავა, რძლები: მანანა, ფაციკო, ირინა, დალი, ზაირა, სიძე ბაადურ ფარჯიკია, სიდედრი ბუცა, სიმამრი შალვა ახალაია, ცოლისდა ციალა, ქვისლი ედვარდ ლაბაძე, შვილიშვილები: გიორგი, ირაკლი, ძმისშვილები: თორნიკე, მზევი, ელისო, ლაშა, ლელა, ბიძაშვილები: მერი, ლადო, ნუნუ, კლარა ფიფიები, ვინერი გორდულავა, დეიდაშვილები ციალა, ეთერი, ნოდარ ქითანავები, მზახლები: ლალა, დევი გვასალიები, ლავრა, ჯუგუ ფარჯიკიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბორის (ბოჩო) სტეფანეს ძე ფიფიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2 ნოემბერს. დაკრძალვა 3 ნოემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება მესხიას ქუჩა 10-დან.

---

შვილები: ენვერი, ალდონა, იზოლდა, ლონდა, თამარი, რძლები: ჟანა თოდუა, ლენა ქუჩანავა, ძაგვალა მაჭავარიანი, სიძეები: დაზმირ გულორდავა, ბოთხუზ ცხაკაია, რობერტ ფრანგიანი, შვილიშვილები: კახა, ლაშა, ანა ქობალიები, ცისანა, დათო, ავთო, გოჩა გულორდავები, ავთო, თინათინ შავლაყაძეები. თემურ ცხაკაია. შვილთაშვილები: თენგო, თამუნა ფრანგიანები. დისშვილი იას ონ ცხონდია. დისშვილიშვილები: ოალი, გია. იზოლდა, ჯანო., ელიზა. გიმზერი ცხონდიები, მაზლიშვილები, მულიშვილები, ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, მზახლები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ტატიანა ერასტოს ასულ საჯაია-ქობალიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 ნოემბერს სოფ. ოდიში (სინწ.).

---

ცეკავშირის ზუგდიდის საწარმოო კომბინატის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბორისი სტეფანეს ძე ფიფია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის კოლექტივი თანაუგრძნობს მაია მინჯორაიას ბებიას

**თამარის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი აბესალომი, რძალი ნატო ლაგვილავა, ძმისშვილები: დემური ბერაია, ჟალუვი ქანთარია, დისშვილი თემურ დოხნაძე, მზახალი ნარგიზა ლაგვილავა, შვილიშვილები: ლადო, მარიკა გვასალიები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**მარიამ მელიტონის ასულ ბერაია-გვასალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 ნოემბერს. დაკრძალვა 5 ნოემბერს. გამოსვენება ბარათაშვილის 15-დან 17 საათზე.

---

თანაკლასელები: ჯემალ ალშიბაია, პალიკო ბაღათურია, ავთო გეგეჭკორი, რეზო გვილია, ზაურ დგებუაძე, ბიჭიკო დუნდუა, გურამ დგებუაძე, გურამ კვარაცხელია, თემურ კვარაცხელია, დათო ნიკოლაიშვილი, ბიჭიკო ოდიშარია, ხონძი შელია, საშა შეროზია, ჯიმი ჯულელი, რეზო ჭაბუკიანი, გურამ წურწუმია, ნოდარ ღვინჯილია იუწყებიან

**ბოჩო (ბორის) სტეფანეს ძე ფიფიას**

გარდაცვალებას.

---

ნარი, ციური, ჰამლეტი ქირიები, და ვალია, რძლები: ტატიანა სვირავა. ზაირა ფიფია, სიძეები გურამ გაბელაია, ვაჟა ჯიჭონაია, ბიძაშვილები: ლამარა, ლიანა, თამზიზა, თენგიზი, გიგა შამუგიები, მამიდაშვილი ტარასი სურმავა, ძმისშვილიშვილები: ნათია, გურამ გაბელაიები, თამუნა. ხათუნა, ჯაბა ქირიები იუწყებიან

**მოკოდა იაკიმეს ასულ ქირიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2 ნოემბერს. დაკრძალვა 3 ნოემბერს სოფ. ოქტომბერში.

---

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ქ. ზუგდიდის ზონის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნოე აკაკის ძე თორდინავას დედის

**ოლია კოსტას ასულ გულორდავას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს პენსიონერის კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილება იუწყება

**არტურ თევდორეს ძე ქობალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ზედაეწერის მომხმარებელთა საზოგადოების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან თანამშრომლის

**არტურ თედორეს ძე ქობალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქალაქის ბავშვთა პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვიოლა ახალაიას მეუღლის

**ბორის ფიფიას**

გარდაცვალების გამო.

---

კახათის №1 საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს მწუხარებაში ლუიზა ჯგერენაიას დედის **ლიდას** გარდაცვალების გამო.

---

ქ. ზუგდიდის ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი წევრის

**მარიამ მელიტონის ასულ ბერაია-გვასალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი დონარა, სიძე რევაზ შონია, შვილობილები ვახტანგ გულუა, ცისანა ქობალია, შვილიშვილები: ნათია, ემზარ გულუები, დები: ლიდია ქობალია, სონია ქითანავა, მულები: ლოლა ჯლამაძე, ქსენია ჩიქავა, ბოჩო უბილავა ოჯახებით, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნორა (ზინო) უბილავა-მალაზონიას**

გარდაცვალებას. დასაფლავება 2 ნოემბერს სოფ. ჭითაწყარი გამარჯვების ქ. 45.

---

მეუღლე ანია, შვილები: ჯულიეტა, ლინა, ეთერი, ვახტანგი, და კაპიტოლინა. დისშვილი მარინა. სიძეები: კარლო ხაბურზანია. არველოდ ხუბუნაია. გურამ სარიშვილი, შვილიშვილები: ანჟელა, ინგა, ნათია, თეა, მერაბი, ლაშა. გიორგი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**თედო თედორეს ძე ხუბუტიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2 ნოემბერს. დაკრძალვა 3 ნოემბერს. გამოსვენება 16 საათზე მარქსის ქუჩა 70-დან.

---

ტრესტ „ზუგდიდგაზის“ თანამშრომლები იუწყებიან

**ავთანდილ ნიკოლოზის ძე გოგიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის №62 პ-ტ სასწავლებლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობენ ემზარ და ზური პაჭკორიებს ბიძის

**ვახტანგი ცინცაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნარი, ციური, ჰამლეტი ქირიები ოჯახებით იუწყებიან გამზრდელი მამიდის

**მოკოდია იაკიმეს ასულ ქირიას**

გარდაცვალებას.

შვილი იზოლდა ქობალია, შვილიშვილები ავთო, თინათინ შავლაყაძეები იუწყებიან

**ტატიანა ერასტოს ასულ საჯაიას**

გარდაცვალებას.

---

შვილები: მედიკო, გურამი, რევაზი. ზურაბი თოლორაიები, რძლები: ეთერ აკობია. იამზე კობახია, ნონა ბერია. ნუნუკა ჩარგაზია. თამრიკო გოგია, სიძეები: რეზო ლეჟავა, დემური გულორდავა, ძმისშვილები ზოია. გოჩა, ხვიჩა სამუშიები, შვილიშვილები: ლევანი, ვახტანგი, ხათუნა. გელა. სოფიკო, ლაშა, ირინა, ხათუნა. ირაკლი თოლორაიები, ლელა, ლევანი ლეჟავები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლიმო (აპოლინა) აქვსენტის ასულ სამუშია-თოლორაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 ნოემბერს. დაკრძალვა 9 ნოემბერს. გამოსვენება წერეთლის ქუჩა №5-დან, 4 საათზე.

---

ბიცოლა ფედოსია ქირია, ბიძაშვილები: ლამარა და ლია შამუგიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მოკოდა იაკიმეს ასული ქირი[illegible]**

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 58 ტელეფონები: რედაქტორის 2 21 80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, [illegible] 2 1 78, მშრომელთა წერილების 2 35 12, [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №50, [illegible] ტირაჟი 4000 [illegible]